საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთ. სარევოლიუციო პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34

№ 293

პარასკევი სექტემბრის 15 1922 წ.

ტფილ. ფასი 5000 მან. ▭ პროვინც. 6000 მან.

## ამიერ-კავკასიის კონსტიტუციისათვის

თანამედროვე რევოლიუციურს პერიოდს ერთი დიდი მომენტი ახასიათებს: ეს არის ბრძოლა სამშენებლო ფრონტზედ. ძველი სამხედრო პერიოდი განვლეს საბჭოთა რესპუბლიკებმა და საერთაშორისო ურთიერთობაში ერთგვარი მშვიდობიანობა მოიპოვეს. ეს გარემოება საშუალებას იძლევა მაქსიმუმი რევოლიუციონური ენერგიისა თავდაცვიდან სამშენებლო ფრონტზედ იქმნეს გადმოტანილი და გაეშალოს ფართო ეკონომიური, კულტურულის პოლიტიკური მოღვაწეობა. თუ ძნელი და მძიმე იყო სამხედრო ფრონტზედ ბრძოლა და მსოფლიო კონტრ რევოლიუციის წინააღმდეგ მოქმედება, არა ნაკლები ძნელი და მძიმე არის ახალს მიმართულებით მოღვაწეობა. ახალი ცხოვრების პირობები, მრავალ ფეროვანი კომპლექსი ჩვენი ვითარებისა და ქვეყნებით მოითხოვს ახალი მეთოდებით ხელმძღვანელობას, ძველი ურთიერთობის შეცვლას ყოველ დარგში და ჩამიზანს შეწონილს შეფარდებას სოციალისტური პროგრამისას ცხოვრების ინტერესებთან. ასეთს რთულს მომენტსა და ვითარებაში სრულიად ადვილი დასაშვებია შეცდომები, არა შესაფერისი მოქმედება. ცხოვრების დღევანდელი მრავალ-ფეროვანი ვითარება მოითხოვს მოქნილი ტაქტიკის გამომუშავებას, რაციონალური პოლიტიკის გატარებას, ყოველი ნაბიჯის კრიტიკულად შეფასებას და უვარგისისა და მიზანშეუწონლის თავის დროზედ უარყოფას. „დაქანებითი პოლიტიკა" ვერ გამოდგება ჩვენი მოღვაწეობისა და საბჭოთა მშენებლობის პროცესში.

ერთი მთავარი საკითხი, რომელიც სდგას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წინაშე და რომელიც ითხოვს ასეთ მიზანშეწონილი, მოქნილი და რაციონალური პოლიტიკის წარმოებას, არის ჩვენი რესპუბლიკების ურთიერთობის საკითხი.

ამჟამ უკვე თვეზედ მეტი არის, რაც ჩვენი რესპუბლიკები ფედერატიულ ურთიერთობაში შევიდნენ ერთმანეთთან და ერთ საკავშირო რესპუბლიკის განმტკიცებას შეუდგნენ. ფედერალიზმის პრინციპის წინააღმდეგ ბრძოლა ძლიერ ძნელი არის და მრავალმა მისმა მოწინააღმდეგემ წარსულში, ქედი მოიხარა ამ დიდი პრინციპის წინაშე. პოლიტიკურად ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ასეთი საკავშირო ურთიერთობის განმტკიცება. მაგრამ საკითხის სიმძიმე პრინციპებსა და პოლიტიკის სფეროში კი არ მარხია მარტო, არამედ ამ პრინციპების ცხოვრების პირობებთან შეფარდებაში. მისი რეალურად გატარებაში. როდესაც ამ მხრივ მიუდგებით ამიერ-კავკასიის ფედერაციასა და გამოვარკვევთ მის ნამუშევარს, დავინახავთ, რომ აქ დიდ დეფექტებსა და ფედერაციის პრინციპების დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. ეს გარემოება-კი მეტად სამწუხარო და სავალალოა. ფედერალურ საბჭოს დეფექტები და ის არევ-დარევა, რომელიც მეფობს იქ, თავის თავად ცხადია, დიდ გაუგებრობასა და შეფერხებას ქმნის ცალკე რესპუბლიკებისათვის. ჩვენი რესპუბლიკების ინტერესი და მათი მომავალი გვიკარნახებს მოქნილი საკავშირო საბჭოს შექმნას, უფრო მომქმედი და ადგილობრივი ინტერესებით დაინტერესებულ აპარატის გამომუშავებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ნახევარ წლის განმავლობაში შეუძლებელი შეიქმნა ერთი გარკვეული ფორმისა და მეთოდის გამომუშავება დაკავშირების საკითხში. ბრძოლის მთავარი ცენტრი და სიმძიმე სწორედ აქ არის დამარხული, ინტერესთა დაპირისპირებამ სწორედ ამ საკითხებში იჩინა თავი. ამიერ-კავკასიაში გამოჩნდნენ ისეთი მოღვაწეები, რომელნიც მთელი თავიანთი ენერგიით ცდილობენ ხელ-აღებით გააერთიანონ სუყველაფერი და ჩვენი ურთიერთობა მაგარს ცენტრალისტურს ნიადაგზედ დადგან. ეს არის ის ყალბი პოლიტიკა, რომელიც დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენს ერებს და საფუძვლით ამახინჯებს ფედერალიზმის პრინციპს. ამ პო- [illegible]

იქითკენ არის მიმართული, რომ ხელიდან გამოაცალონ ჩვენს ერებს სახელმწიფოებრიობა და გადააქციონ ისინი უბრალო პროვინციებად. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ პოლიტიკის ზოგიერთ ხელმძღვანელებს თვალები სხვა მხრისაკენ უჭირავთ და ცდილობენ მთელი ამიერ-კავკასია რუსეთის გუბერნიებად გადააქციონ.

უნდა გარკვევით აღვნიშნოთ, რომ ასეთი პოლიტიკა შემცდარი და დამღუპველი არის ჩვენი მხარისათვის და მას არც ერთი სერიოზული საფუძველი არ უდევს სარჩულად. პროვინციალიზმის პერიოდისაკენ დაბრუნება და ძველის აღდგენა, ეს მიუტევებელი ცოდვა იქნება და ამას ვერავითარს შემთხვევაში ვერ შეურიგდებიან ამიერ-კავკასიის მშრომელი მასები. მათი მთავარი მიზანი ყოველთვის იყო და იქნება ეროვნულ სახელმწიფოებისათვის თავისუფლების მოპოვება და მტკიცე ნაციონალური სუვერენობის შექმნა. რუსეთის დიდმა რევოლიუციამ ჩვენ ხალხს ეს დიდი მისწრაფებანი გაუხადა და თავისუფლების ძლევამოსილი გვირგვინით შემკო მათი არსებობა. ვინც ამ ძვირფას მონაპოვარის წინააღმდეგ ილაშქრებს და ნელ-ნელა ხელიდან აცლის ჩვენს რესპუბლიკებს სუვერენობის ატრიბუტებს, ის შეუგნებლად თუ შეგნებით ამ ერების მისწრაფებების წინააღმდეგ ილაშქრებს და მეტად სახიფათო პოლიტიკურ ნაბიჯს სდგამს, რასაც შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს რევოლიუციის საქმეს.

ცენტრალიზმის პრინციპი და პროვინციად გადაქცევა ვერ ატანს ჩვენი ხალხის ინტერესებს. ამიერ-კავკასიის ერებისათვის აუცილებელი საჭიროა ურთიერთობა და მეგობრული დამოკიდებულება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილი ფედერალიზმის პრინციპის დაცვით და მისი წმინდად ცხოვრებაში გატარებით. ფედერალიზმი არ სპობს ერების სახელმწიფოებრიობას, მათ სუვერენულ ატრიბუტებს არ ანადგურებს სავსებით. ამიერ-კავკასიაში ისეთი პირობები არის შექმნილი და ისეთ მომენტებთან გვაქვს საქმე, რომ გარეშე ფედერატიული კავშირისა, სხვა გვარი მთლიანი სახელმწიფოებრივი აპარატის შექმნა შეუძლებელი და მიუღებელია აქ.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზედ არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის მეთოდები და ფორმა, რომელიც უნდა მივიღოთ ჩვენ დაკავშირების დროს —ეს მეთოდები ჩვენ გვიკარნახებენ, რომ მაქსიმუმი დაწესებულებებისა და სახელმწიფო აპარატის ცალკე რესპუბლიკების ხელში იქმნეს დატოვებული და ფედერალურ საბჭოს დაევალოს მხოლოდ საერთო პრინციპიალური კითხვების გადაწყვეტა, რაც იმავ დროს გატარებული უნდა იქნეს ცხოვრებაში რესპუბლიკების სათანადო დაწესებულებებით. ეს არის ის მეთოდი დაკავშირებისა ან ის ფორმა ურთიერთობისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ერთის მხრით, ცალკე რესპუბლიკების სახელმწიფოებრიობა დაუზიანებლად შევინახოთ და, მეორეს მხრით, ფედერაციის აპარატი მტკიცე საფუძველზედ ავაგოთ. ამიერ-კავკასიის ფედერაცია აქ უბრალო ტერიტორიალურს გაერთიანებას კი არ წარმოადგენს, არამედ მაგარს დამოუკიდებელს სახელმწიფოებრივს ერთეულებზედ იქნება აშენებული და ასეთი კავშირი სავსებით დააკმაყოფილებს ჩვენი ერების მოთხოვნილებებს და ამიერ-კავკასიის კონსტიტუციაც ამ ნიადაგზედ უნდა ავაგოთ.

საზოგადოდ, ეს სალი პოლიტიკა, რომელიც ნამდვილს ფედერალიზმის პრინციპზედ არის აშენებული, გაუგებარი ხდება მრავალი მოღვაწისათვის და ისინი თავიანთი მოქმედებით ძლიერ დიდ არევ-დარევას ჰქმნიან.

ერთი ძირითადი პრინციპი უნდა იყოს აგრეთვე მიღებული ჩვენს ფედერაციაში. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა [illegible] არის და მის მოქმედებასა და მოღვაწეობაში არ უნდა ერეოდეს გარეშე სახელმწიფო. დაუშვებელია, რომ ამიერ-კავკასიის ფარგლებში რომელიმე უცხო სახელმწიფოს კანონები მოქმედებდეს და მთელი დარგები ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა მას ეპყრას ხელში. ასეთი რამის შეტანა კოლონიალურ მდგომარეობამდე დაიყვანდა ჩვენს ქვეყნებს და გააკოტრებდა მათ პოლიტიკურად და ეკონომიურად.

ფედერალიზმი ძვირფასი რამ არის, მით უფრო აუცილებელია პრინციპიალურად ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მაგრამ ამაზე უფრო აუცილებელია მისი სისწორით ცხოვრებაში გატარება. კითხვა ისმის მათ, ვინც ფედერალიზმის ნიადაგზედ დგებიან, პირნათლად დაიცვან ეს ძვირფასი რამ და ყოველ ფეხის გადადგმაზედ ნუ ამახინჯებენ მას.

ხ. დევანი.

## ახალგაზრდათა ორგანიზაციის მორიგი ამოცანები

სასწავლო წლის დაწყებიდან ახალგაზრდათა ორგანიზაციისათვის მუშაობის ახალი პერიოდი იწყება. მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც კანიკულების გამო დაშლილი იყო კულტურული ცენტრებისგან და გაფანტული პერიფერიებში, კვლავ იწყებს შეკავშირებას და ერთად თავის მოყრას. ამის მიხედვით საჭირო ხდება ორგანიზაციული და პოლიტიკური და კულტურული მუშაობის გაჩაღება სამოსწავლო ცენტრებში.

გასულ წელს მეტად ცუდი პირობები იყო შექმნილი ახალგაზრდათა ორგანიზაციისათვის. ერთი მხრით მემარჯვენე პარტიების მიერ შექმნილი ფსიხოზი ახალგაზრდობაში და წვრილმანი „დემონსტრაციები" მეორე მხრით, საკუთარი ფინანსიურ-ტექნიკური დაბრკოლებანი დაუძლეველ ზღუდეთ აღმართა ახალგაზრდათა კავშირის წინაშე და მან მხოლოდ ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ცენტრებში შესძლო ორგანიზაციული მუშაობის ხელმძღვანელობა. აგრეთვე თითქმის უყურადღებოდ დაგვრჩა სოფლის გლეხური ახალგაზრდობის ჩაბმა პოლიტიკურ მუშაობაში, რასაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს.

გასული სასწავლო წლის დასასრულს ახალგაზრდათა კონფერენციას უნდა გამოემუშავებინა ძირითადი მუშაობის გეგმა და ახალი გზები უნდა აღმოეჩინა ორგანიზაციული მშენებლობისათვის. როგორც ამხანაგებმა უკვე იციან, ესეც შეუძლებელი გახდა მოსწავლე ახალგაზრდობის მოულოდნელი დათხოვნის გამო. კონფერენციის მოწვევა შეუძლებელი შეიქმნა.

სასწავლო წლის დასაწყის განსაკუთრებული მუშაობა მართებს ახალგაზრდათა პარტიულ ორგანიზაციას, მას მრავალი საქმე აქვს მოსაგვარებელი. მათ შორის უპირველესია ახალგაზრდათა კონფერენციის დაჩქარებით მოწვევა, რომელმაც უნდა შეაკავშიროს მტკიცედ არსებული ორგანიზაციები და საფუძველი უნდა ჩაუყაროს ახალ ორგანიზაციების აღმოცენებას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაციის სტრუქტურა მოითხოვს გადასინჯვას. დღეს ჩვენ ისევ ძველ წესით გვაქვს ახალგაზრდათა ორგანიზაციული მშენებლობა, სადაც არავითარი გარჩევა არა აქვს ახალგაზრდას არა ახალგაზრდისაგან. ამის შედეგია, რომ ახალგაზრდათა ორგანიზაციაში „მოხუცი ახალგაზრდებიც" ურევია, რაც ხელს უშლის უმცროსი ამხანაგების აქტიურად მუშაობას და მათ მიერ ორგანიზაციულ მუშაობის ხელმძღვანელობას. ამ გარემოებას ახალგაზრდათა კონფერენციამ ბოლო უნდა მოუღოს.

აგრეთვე საჭიროა ახალი ტიპის პოლიტიკური წრეების შექმნა. ძველი მეთოდით პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებამ ვერ მოგვცა სასურველი შედეგი. საჭიროა წრეების მუშაობა თავისუფალ განვითარების ხასიათს ატარებდეს და ისეთ პირობებში მიმდინარეობდეს იგი, რომ დამქანცველი არ იყოს. ასეთი წრეები პირველად უნდა ვცადოთ მომავალი სასწავლო წლიდან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალგაზრდათა მომზადება ამაზედ ლაპარაკი მეტია. ჩვენ რასაკვირველია არ შეგვიძლია პარტსკოლების სისტემით ახალგაზრდათა შორის მუშაობა. ამისათვის საჭიროა დიდი რესურსები, რაც ჩვენ ძალ-ღონეს ათასჯერ აღემატება. ამიტომ „თავისუფალ წრეების" დაარსება აუცილებელია, რომლის შესახებ დაწვრილებით შემდეგში მოვილაპარაკებთ. წრეები საქართველოს მასშტაბით უნდა იყოს გაფანტული და მუშაობის გეგმა, მასალა შესასწავლი სისტემაში უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

დღეს მრავალი ახალგაზრდა ტყუილად კარგავს დროს და უნაყოფოდ მუშაობს, რადგან მას არა აქვს მუშაობის სისტემა. იგი მეცადინეობას იწყებს იქიდან, სადაც უნდა ასრულებდეს მას და ასრულებს იქ, სადაც უნდა იწყობდეს. ასეთი მდგომარეობა ქანცავს, ღლის ახალგაზრდობას, ფლანგავს ენერგიას და აძლევს ბუნდოვან და უმწიფარ მასალას. ჩვენ უნდა შევსძლოთ ამ მდგომარეობის ბოლოს მოღება.

პარტიულ დისციპლინას გასულ წელს სათანადო ყურადღება ქონდა მიქცეული, რომელმაც იმსხვერპლა რამდენიმე პასუხისმგებელი ამხანაგი. ამ გარემოებამ ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს. ჩვენ აუცილებლად ძვირად დაგვიჯდება იმ უდისციპლინობის გამოსწორება, რომლითაც დაავადებული იყო ძველი პარტიული ორგანიზაციები.

ამ ორგანიზაციების წყალობით ჩვენ შევეჩვიეთ თვითნებობას, უწესრიგობას და უდისციპლინობას. ეს ტრადიცია იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მისი გადალახვა მეტად ძნელი გამოდგა ამხანაგებისათვის. ამ მხრივ სასურველს შედეგებს უკვე მივაღწიეთ. საჭიროა კვლავ მტკიცე დისციპლინით სვლა თუ გვინდა მას შედეგათ მოყვეს არა ერთი და ორი წევრის გაძევება.

აღსანიშნავია შემდეგი მდგომარეობაც. ჩვენი ყოფილი ამხანაგების დიდი უმრავლესობა საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან ყოველთვის პარტიის მემარცხენე ფრთის გვერდში იდგა აქტიურად. ამას მოწმობს ახალგაზრდათა კონფერენციები, რომელნიც გარკვეული მოწინააღმდეგე იყო პარტიის გაურკვეველი პოლიტიკის. საბჭოთა წყობილების დამყარების დღიდან ზოგი ამხანაგი ჩვენ დაგვშორდა. ჩვენ დროზედ ვერ შევძელით მათთან მისვლა, ჩვენი აზრის გაზიარება, ჩვენი გზის გარკვევა. ამ გარემოებას ზედ დაერთო მემარჯვენეთა უმეცარი პროვოკაცია ჩვენს წინააღმდეგ და ახალგაზრდათა ნაწილი ჩვენი ორგანიზაციის გარეთ დარჩა. დღეიდან მუშაობა ასეთ ამხანაგებს შორის უფრო კარგ პირობებშია, ვინაიდან ამჟამად მემარჯვენეთა პოლიტიკის სრული გაკოტრება ხელს უწყობს ასეთი ელემენტების ჩვენთან დაახლოვებას. ჩვენ უნდა შევძლოთ გაუგებრობის გამო დაშორებული ამხანაგების დაბრუნება.

ყოველივე ამისათვის საჭიროა მუშაობა, მუშაობა და კვლავ მუშაობა. ახალგაზრდათა კავშირი შესძლებს კონფერენციამდე ამ დიდი მუშაობის გაძღოლას, რადგან იქ გამოცდილი და ენერგიული ამხანაგები არიან ჩაბმული, ხოლო კონფერენცია კიდევ ახალ ძალებით შეავსებს მოღვაწეთა რიგებს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ჩვენი გზა არის ერთად-ერთი გზა საქართველოს თავისუფლებისა და რევოლიუციური შემოქმედების განმტკიცებისათვის და ეს გვმატებს ძალასა და ენერგიას.

ხ. კვინწყლახპარელი.

## საყოველთაო სავალდებულო სწავლა

ისტორიამ ახალი კოორდინალური პრობლემების წინ დაგვაყენა. მრავალი საკითხი მოითხოვს გადაწყვეტას და ხალხის სოციალური ბუნების შესაფერისად გადაჭრას. მსოფლიოს ფერის ცვლა მრავალი ახალი ფორმაციით მიმდინარეობს კაცობრიობის აზროვნების წინ და საყოველთაო პოლიტიკურ და სოციალურ ტრანსფორმაციებთან გვაკავშირებს.

დღევანდელი საერთაშორისო მომენტი „გარდაქმნის" ხანას წარმოადგენს და ხალხის აზროვნებულ ფიქრს ერთი ნაპირიდან მეორისაკენ აბრუნებს და მისს ნების ყოფას [illegible] განუზომელი ობიექტიური პირობები ამზადებს.

ამდენად რთულია მომენტი, რთულია აწმყო ისტორიული პროცესი, მაგრამ როგორი პოლიტიკური ან კულტურული მომზადებით ხვდება მას ხალხი?

ცხადია ასეთი სოციალური კატეგორიათა ფორმების გარდაქმნა ჩვენგან, მთელი ხალხისაგან, მოითხოვს თავის ცოდნის მაქსიმუმის გამოყენებასა და ინტელექტის ამოქმედებას, რომ შესაძლებელი შეიქნეს ამ მიმდინარე ისტორიული პროცესის სწორი განვითარება.

მაგრამ აწმყო კულტურული მომზადება ხალხისა ვერ გვაძლევს ამის სრულს შესაძლებლობას.

ევროპის ქვეყნების მცხოვრებნი არსებითად თავისი შეგნებით მზად არიან ისტორიულ პროგრესიული გზით იარონ ახალი პოლიტიკური და ეკონომიური სიტუაციის შექმნისათვის, მაგრამ თუ ისინი ამას რეალურად დღევანდელ სინამდვილეში ვერ ასრულებენ, ეს იმ ობიექტური გარემოებათა ძლიერებით აიხსნება, რომელსაც კაპიტალისტური რეჟიმი ეწოდება.

რუსეთში უკანასკნელ ხანამდის მცხოვრებთა დიდი უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. თუმცა იქ კარგა ხანია, რაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს, მაგრამ მისი მუშაობის გაფართოება შესაძლებელი შეიქნა ჯერ-ჯერობით მხოლოდ სამხედრო რიგებში, რომლებიც გამოწვეული არიან პერიფერიებიდან და დიდი ხნით ერთ მიზნით უწყებში მსახურობენ. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ საყოველთაო (თუმც არა სავალდებულო) სწავლა განათლება რუსეთში დიდი ხანია სწარმოებდა მხოლოდ არა ისეთ ფართო და ხალხოსნურ მაშტაბში, როგორც ეხლა სწარმოებს. წარსული საუკუნის მეორე ნახევრიდან, რუსეთის ზოგიერთ ადგილებში არსებობდა საკვირაო სკოლები და ფართოდ სიპატიო მიზნებსაც აღწევდნენ. მაშინდელი საკვირაო სკოლების ქრონიკების ავტორები სიამოვნებით აღნიშნავდნენ, რომ ამ სკოლათა ისტორია შეადგენს ღირსებიან სტრიქონებს რუსეთის ინტელიგენციის აზროვნების ისტორიაში.

და მართლაც რუსის ხალხი შეუდარებელი ხალისით და დიდი სისწრაფით ილტვოდა ამ საკვირაო სკოლებისკენ და სწავლობდნენ თავისი საკუთარი სურვილის მიხედვით, დაუღალავად და მართლაც შეუქმნეს ასეთ დაწესებულებებს ისეთი საფუძვლები, რომლებიც მართლდებოდნენ თანამედროვე პრაქტიკით.

მაგრამ რუსულმა ბიუროკრატიულმა რეჟიმმა, ასეთი საერთო განათლების სკოლების რეზონის გაგების შემდეგ, უწყალოთ დახურა ყველა ისინი 1862 წელს და მსმენელნი სკოლების კარებს გარეთ დარჩნენ. მაშინდელი გამოჩენილი რუსი პედაგოგი ვ. სტოიუნინი მწუხარებით აღნიშნავდა ამ გარემოებას და საკვირაო სკოლების განახლების შორეულ წარსულს აკურთხებდა, როდესაც შესაძლებელი შეიქნებოდა ერთის მხრივ გამქრალიყო ის უნდობლობა, რომელიც მთავრობის მიერ დამსახურებული ქონდა საკვირაო სკოლებს, და მეორეს მხრივ თვით ხალხი მოიპოვებდა მათი კვლავ განახლების საშუალებებს.

მაგრამ ამის მიუხედავად, 1870 წელს ხარკოვში ფაქტიურად მაინც არსებობდა ქ-ნ ალჩევსკის ხელმძღვანელობით ერთი საკვირაო სკოლა, სადაც მრავალი ქალწული [illegible]

შრომისა და ტვირთზიდვის ფულით შეცვლის შეტანის უკანასკნელ ვადად დანიშნულია სექტემბრის 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს და ანბანის სწავლას ელტვოდა. ამის შემდეგ [illegible] ზრუნავდა რუსეთის საყოველთაო სწავლების ორგანიზაციის მოწყობისათვის, და დღევანდლამდე რუსეთის მთელ მცხოვრებთა დიდი უმეტესობა უმეცარია ეს იმ უკუღმართი პოლიტიკური პირობებით აიხსნება, რომელშიაც ჩაყენებული იყო იგი უკანასკნელ რევოლუციონურ პერიოდამდე.

თუ ბელგიელ გლეხობაში 90 პროც. წერა-კითხვის მცოდნეა და აწმყო ცივილიზაციაში მრავალ სახელმწიფოთა კულტურულ დონეს აღემატება, ესეც იმავე გარემოებით შეისწავლება, რომ ამ ხალხმა სულ რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში შესძლეს საყოველთაო სავალდებულო სწავლა შემოეღოთ. ამ სურვილის ხორცსხმა მათ იძულებით მოიპოვეს. ამის საუკეთესო ილიუსტრაციად შეიძლება გავიხსენოთ ბრიუსელის დიდი დემონსტრაცია წ.-კ. უცოდინართა, რომელშიაც ორასი ათასი მუშა ლებულობდა მონაწილეობას. ყველა მათგანს ხელი მოწერილი ქონდა „განათლების კავშირის“ მიერ შედგენილ „მოთხოვნილებაზე“ სავალდებულო სწავლის შემოღების შესახებ. ამ ხალხისაგან შემდგარმა დემონსტრაციამ არ დაუცადა პარლამენტის „დარიგებას“, რომ ფრთხილად მოქცეულიყვნენ და აქტიური ერთსულოვანი გამოსვლით მოსთხოვა პარლამენტს დაუყოვნებლივ გამოეცა სავალდებულო სწავლის კანონი და შესდგომოდა მის რეალურ ხორცსხმას.

ანალოგიური მოვლენები ხდებოდა მრავალ სხვა სახელმწიფოში. ყველგან შეგნებული აქვსთ ის აზრი, რომ სასკოლო სისტემით ძლიერ დაგვიანდება ხალხის საერთო განათლების საქმე. ისტორია უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე საერო განათლება და ამიტომ მოზრდილთა სკოლების დაარსებით და საყოველთაო სწავლა განათლებით, რომელიც სავალდებულოდ უნდა იყოს გამოცხადებული, შეიძლება ძლიერ დავაჩქაროთ ჩამორჩენილი ხალხის გამოყვანა უმეცრების ბურუსიდან და საკაცობრიო მიზნების დაკვირვების სუბიექტობა შევძლებინოთ.

როგორია ამ მხრივ საქართველოს სინამდვილე?

ჩვენში საყოველთაო—სავალდებულო სწავლას ისტორია არა აქვს. წარსული საუკუნის მიწურულებში, როდესაც ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებში ძლიერი მოძრაობა იყო სავალდებულო სწავლის შემოსაღებათ, ჩვენში ასეთი ბრძოლა არ გაჩაღებია თეორიული წერილს სამწერლო ორგანოებში. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ერთ-ერთ პრესაში [illegible] მოუთავსებინა წერილი სავალდებულო საყოველთაო სწავლის შემოსაღებათ საქართველოში, ვინაიდან ეს ხაზინას ზედმეტ ხარჯს გაუჩენს და „არც ისე საჭიროა“-ო.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დროს ჟურნალ „განათლებაში“ რამოდენიმე წერილი დაიბეჭდა მოძრავი საკვირაო სკოლების შემოსაღებათ. მაგრამ ეს მაინც ვერ განხორციელდა ვიწრო მაშტაბითაც კი. იყო ხშირად ცდა, რომ მოძრავი სკოლების ხელმძღვანელობა დაეკისრებინა არსებული სკოლების მასწავლებლებს საზაფხულო არდადეგების დროს. ასრულება ცხადია შეუძლებელი იქნებოდა. მას ორგვარი მიზეზი აფერხებდა: ერთი იყო ის, რომ მთელი სამოსწავლო წლის ჩატარებით მასწავლებლობა მოქანცული იყო ფიზიკურად და საზაფხულო მუშაობისათვის მათი ძალების გამოყენება საქმეს ვერაფერს შემატებდა და მეორე უფრო დიდი მიზეზი გახლდათ, რომ სახელმწიფოს არას დროს არ გაუხსნია ცალკე კრედიტი საქართველოში საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოსაღებად. თავის თავად კი არაფერი არ გაკეთებულა არას დროს.

დღევანდელმა ჩვენმა ხელისუფლებამ, როგორც ვიცით, ფართოთ დასახა გეგმა ხალხის განათლების საქმის დასაყუნებლად, თუმცა, უნდა ითქვას, რომ სიტყვები უფრო მეტი გვესმის, ვიდრე მისი რეალური განხორციელება, მაგრამ განათლების დარგში მაინც მრავალი საყურადღებო ნაბიჯი გადაიდგა. ერთი ამ ნაბიჯთაგანი არის სავალდებულო სწავლის შემოღება. ეს გადაწყვეტილება მართალია მოხდა პრინციპიალურად და პრაქტიკულადაც ტარდება ცხოვრებაში ზოგიერთ მხარეში, მაგრამ მისი აბსოლუტურად გატარება, ანგარიშ გასაწევი პოლიტიკური მიზეზების გამო, არ ხერხდება.

ჩვენ ვიცით მრავალი ადგილები, სადაც განათლების განყოფილებებთან არსებობენ განსაკუთრებული დარგები მოზრდილთა შორის წერა-კითხვის სალიკვიდაციო ორგანიზაციის მოსაწყობად.

ცენტრალურ ადგილებში ეს ორგანიზაციები ოდნავად მაინც აღწევენ თავის დანიშნულების მიზანს. ქალაქებში და საზოგადოთ კულტურულ სამრეწველო ადგილებში მუშაობისათვის განსაზღვრული დრო არსებობს, რისი დანარჩენიც შეიძლება გამოიყენოს მუშამ წერა-კითხვის შესასწავლად. ამ გვარად სამრეწველო უწყების მუშაკთ თავისვე მიერ არჩეული და დანიშნული დროისათვის, მუშაობის ადგილზე მიუდისთ მასწავლებელი და სასწავლო საქმეს ეწევიან.

ასეთი მდგომარეობა არ არის პროვინციაში.

მრავალ სოფელსა და დაბაში მოზრდილთა სკოლები არ არსებობენ, მათი ორგანიზაციის მოწყობა დამოკიდებულია ადგილობრივ ხელისუფალი ორგანოებისაგან. თუ ეს უკანასკნელნი შესძლებენ თავისი საკუთარი ძალებით მოზრდილთა წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლების მოწყობას, თორემ ცენტრალური, განათლების და სოციალისტური კულტურის, უწყებისაგან ამისათვის განსაზღვრული თანხა არ იცემა.

პერიფერიის მოზრდილთა სკოლებში მეცადინეობა კვირაში ორჯერ სწარმოებს. სკოლის მსმენელნი განსაკუთრებით მამაკაცები არიან, რომლებიც დატვირთულნი არიან მრავალი საკუთარი სამეურნეო საქმეებით. ამის გამო ძალიან უჭირთ სისტემატიურად გაკვეთილების სმენა, რისი შედეგიც არის გაკვეთილების გამოშვება ზოგიერთი ჯგუფების მიერ, რაც საგრძნობლად აფერხებს სხვა ჯგუფების ნორმალურ წინსვლას. აქვე უნდა აღნიშნულ იქნეს ის, რომ ხშირად ასეთი სკოლებისათვის ყოვლად შეუფერებელი მასწავლებელია დანიშნული. როგორც ყველას მოეხსენება, სასკოლო ცხოვრებაში მასწავლებელი დიდ როლს ასრულებს. ინტერესი და სწავლის სიყვარული, უპირველესად ყოვლისა მასწავლებელმა უნდა აღუძრას და ჩაუნერგოს მოწაფეებს. აქტიობა და თვალსაჩინოება, რომლებიც არიან ძლიერნი ფაქტორნი სასკოლო მუშაობის ინტენსიობისა, მასწავლებლის მიერ უნდა იქნას აღძრული. ხშირად, მოზრდილთა სკოლებისათვის არ გამოდგება ბავშვთა სკოლების პედაგოგიური ნორმები და სწავლების მეთოდიკაც მოზრდილთა სკოლებში არსებულ ფსიქიურ განწყობილებას უნდა შეეფარდებოდეს. მაგრამ ყოველივე ასეთი ექსპერიმენტალურ პედაგოგიკის ცნებანი, პროვინციის მოზრდილთა სკოლების მასწავლებელთათვის (მცირე გამონაკლისით) ჩინური ანბანია და ინსტინქტიურად ებრძვიან და შლიან იმ საქმეს, რისი გაკეთებისაკენაც ილტვიან.

ამ ჟამად ჩვენ ხელთ არ არის სტატისტიკა პერიფერიის წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლების მუშაობის რეზულტატებისა; მაგრამ მაინც შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ მათ თავის ცუდი ნიადაგით და ორგანიზაციის სისუსტით საჭირო ნაყოფი ვერ მოაქვს. საჭიროა დაჩქარებით გაიფანტოს ის დეფექტები, რომლებიც ამ სკოლათა თანხლებია, რომ იდეა და რეზონი მათი არსებობისა არ წაიშალოს.

გ. თავზარაშვილი.

---

მოქალაქენო, დააჩქარეთ თქვენი მოვალეობის შესრულება. შეიტანეთ ტვირთზიდვის გადასახადი.

---

# ჟურნალ-გაზეთებიდან

პუანკარეს წერილი მოკავშირეთა ვალების შესახებ. პუანკარე უპასუხებს ბალფურის 1 აგვისტოს ნოტას მოკავშირეთა ვალების შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი იზიარებს ინგლისის აზრს, რომ სარეპარაციო პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა დაკავშირებულია მოკავშირეთა ვალების საკითხის გადაწყვეტასთან. მოკავშირეთა ვალები ატარებენ სპეციალურ ხასიათს და გამოწვეული არიან მომხდარი დაზარალებით. „ჩვენ ვფიქრობთ“-სწერს პუანკარე—დაზარალების აღდგენა უნდა შესრულდეს უპირველეს ყოვლისა. ის ხარჯი, რომელზედაც საფრანგეთს მოუხდა წასვლა გერმანეთიდან რეპარაციის თანახმად, გადასახადის აულებლობის გამო, არღვევს მისი ბიუჯეტის წონასწორობას. სანამ გერმანეთი არ დაფარავს ამ ხარჯებს, მანამ შეუძლებელია ლაპარაკი საფრანგეთის სამხედრო ვალების მოწესრიგების შესახებ. თუ ეს ვალდებულება იქნება შესრულებული, საფრანგეთს არაფერი აქვს საწინააღმდეგო მოკავშირეთა ვალების მოწესრიგებისა?

ურთიერთ ვალების მოწესრიგებისათვის საფრანგეთი თხოულობს, რომ მის მიმართ იქნეს წაყენებული ისეთივე დამოკიდებულებანი, როგორსაც იგი წააყენებს მოკავშირეთა მიმართ.

თავისი მხრით იგი სცნობს შეუძლებლად დღეს მოკავშირეთა ვალების მოთხოვნას და არც ფიქრობს მის შესახებ.

„ტაიმსი“ ფიქრობს, რომ პუანკარეს პასუხში ბალფურის ნოტაზე არის რაღაც „ახალი ნაკადი“ საფრანგეთის პოლიტიკაში. რომლის მხრის გამაგრებას მოითხოვს იგი ინგლისის მიერ.

„დეილი ქრონიკლი“ საჭიროდ სცნობს მიუთითოს პუანკარეს, რომ გერმანეთის მიერ ვალების გადახდა დამოკიდებულია არა მარტო საფრანგეთის საჭიროებაზე, არამედ გერმანეთის ვალების გადახდის შესაძლეობაზე.

პარიზის პრესა პუანკარეს პასუხს კრიტიკულად უყურებს. ის ორგანოებიც კი, რომელნიც მთავრობის მეგობრულ ურთი-ერთობას განიცდიან, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებენ პუანკარეს პასუხს. მეორე მხრით პრესა აღნიშნავს, რომ საფრანგეთი არაფერს არ დასთმობს იმ თანხისაგან, რაც მას ერგება გერმანეთის მიერ.

---

კიდევ მოგონება—სექტემბრის 15-ს უკანასკნელი ვადაა ტვირთზიდვის გადასახადის შესატანად.

---

# საბერძნეთ ოსმალეთის ომი

**კონსტანტინეპოლის საკითხი.**

**ნაუენი.** 13 სექ. გაზ. „პტი პარიზიენის“ ცნობით კონსტანტინეპოლის და ანგორის მთავრობები დაჟინებით მოითხოვენ ოსმალეთისათვის ადრიანოპოლის დაბრუნებას, თუმცა თანახმანი არიან სრუტეების თავისუფლების აღდგენისა იმ პირობით, თუ რომ დაცული იქნება კონსტანტინეპოლი და გარანტია მიეცემა ოსმალეთის სუვერენიტეტს კერძოთ კონსტანტინეპოლის რაიონში.

**ნაუენი.** 13 სექტ. ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას კონსტანტინეპოლი ქემალისტებისაგან. მუსლიმანურმა საზოგადოებებმა და ორგანიზაციებმა ინგლისში პროტესტი განაცხადეს ინგლისის მიერ სმირნაში და სრუტეებში სამხედრო გემების გაგზავნის წინააღმდეგ.

**ბერლინი.** 13 სექტ. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისარებმა კონსტანტინეპოლში განუცხადეს ანგორის მთავრობის წარმომადგენლობას, რომ ისინი იმედოვნებენ, რომ ქემალისტები არ დაარღვევენ კონსტანტინეპოლის და დარდანელის რაიონების ნეიტრალობას.

**მანჩესტერი.** კონსტანტინეპოლის მთავრობის პარიზის წარმომადგენლებმა განუცხადა გაზ. „პტი პარიზიენის“ თანამშრომელს, რომ მისი მთავრობაც მოითხოვს ბერძნების მიერ ადრიანოპოლის დაცლას და სრუტეების განთავისუფლებას.

**ნაუენი.** 13 სექტ. ინგლისის პრესა თვალსაჩინოთ შეშინებულია მცირე აზიის მდგომარეობით და კონსტანტინეპოლის მომავალი მმართველობის საკითხით.

**საბერძნეთში.**

**ნაუენი.** 13 სექ. საბერძნეთის სავაჭრო ფირმების უმრავლესობა მოითხოვს ვენიზელოსის საბერძნეთში დაბრუნებას, კომერსანტები მომხრენი არიან სამხედრო დიქტატურისა მეტაქსას მეთაურობით.

**მანჩესტერი.** 13 სექტ. იმ ხმების საწინააღმდეგოთ, რომ თითქოს საბერძნეთი სთხოვს დახმარებას სამხრეთ-სლავიას და რუმინიას საზავო მოლაპარაკების დროს პარიზის პოლიტიკური წრეები დაუეჭვებლად სთვლიან სამხრეთ-სლავიის დახმარებას ვინაიდან ერთ დროს სამხრეთ-სლავია წინააღმდეგი იყო საბერძნეთის მცირე ანტანტის შემადგენლობაში მიღებისა იმ მოსაზრებით, რომ მცირე ანტანტა სცდილობს ბალკანეთში ომიანობის მოსპობას და ამიტომ მას არ შეუძლია თავის კავშირში შეიყვანოს ის სახელმწიფო, რომელიც ომს აწარმოებს.

**ხმირნაში.**

**ბერლინი.** 13 სექტ. სმირნის გუბერნატორი ხურშიდ-ფაშა შეუდგა ქალაქის პოლიციის შედგენას.

**რომი.** 13 სექტ. ოსმალეთის ჯარები სავსებით წესიერად იქცევიან. ინგლისის პატრულები და ინგლისის საელჩოების სადარაჯოები გაუქმებულია.

**მოკავშირეების პოზიცია.**

**რომი.** 13 სექ. იტალიის პრესა უკუთებს რა კომენტარიებს ახლო აღმოსავლეთის ამბებს, აღნიშნავს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ოსმალეთის ჯარების შეტევას იტალიის „პროგრამისათვის“ ახლო-აღმოსავლეთში. იტალია თუმცა ევროპის ინტერესებს მაღლა აყენებს თავის ინტერესებზე, მაგრამ მაინც ვერ ამჩნევს იმას, რომ ოსმალეთის გამარჯვება დიდ ზიანსაც აყენებს ამ ინტერესებს და ფიქრობს, რომ მცირე აზიის ოსმალეთისათვის დაბრუნებით აღდგენილი იქნება წონასწორობა ბალკანეთში.

**ნეიტრალური ზონა.**

**მოსკოვი.** 14 სექტემბერი. მოკავშირეთა შორის მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება, რომლის ძალითაც ოსმალეთს არ შეუძლია დაიკავოს მცირე აზიის სანაპიროების ნეიტრალური ზონა დადგენილია გაგზავნილ იქნეს შერეული ინგლის-საფრანგეთ-იტალიის გარნიზონები იმ ადგილებში, სადაც დგანან ერთი რომელიმე მოკავშირე სახელმწიფოს ჯარები.

**სმირნაში.**

**მოსკოვი.** 14 სექტემბერი. სმირნიდან გახიზნული ამერიკელი და სხვა ქრისტიანი ლტოლვილები აცხადებენ, რომ უკანდახევის დროს ბერძნებმა საშინელ სიმხეცეს იჩენდნენ მუსლიმან მცხოვრებლებისადმი.

**ფერიდ-ბეის განცხადება.**

**მოსკოვი.** 14 სექტემბერი. ინგლისის წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია ფერიდ ბეის განცხადებამ, რომელიც გამოქვეყნებულია საფრანგეთის პრესაში. ფერიდ-ბეი აღნიშნავს, რომ თუმცა ინგლისელებს დაკავებული აქვთ კონსტანტინოპოლი, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ადრიანოპოლისაკენ მიდის მეორე გზა—ფესოპოტამიის საშვალებით.

**დროებ. თა ზ.ვთ.**

**მოსკოვი.** 14 სექტემბერი. პარიზში მიღებულია ანგორიდან დეპეშა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ დროებითი ზავის ჩამოგდების ერთად ერთი საშვალებაა ბერძნების მხრივ უშუალო მიმართვა ანგორის მთავრობისადმი. ოსმალეთი მოითხოვს მცირე აზიის და თრაკიის ევაკუაციას კონსტანტინოპოლიდან, ბერძნების საწყისო—სამხედრო ძალების დაუყოვნებლივ გაყვანას ოსმალეთის სანაპირო ნავთსადგურებიდან და ზარალის ანაზღაურებას.

**ინგლისის პრესის განცხადება.**

**მოსკოვი.** 14 სექტ. მცირე აზიაში მომხდარმა ამბებმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლონდონის პრესაში. გაზეთ „დეილი ტელეგრაფი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა არ უნდა გაუშვას ხელიდან ის გარემოება რომ მოსკოვსა და ანგორას შორის მეგობრული განწყობილება დღითი დღე მტკიცდება. თუ რომ ზავი ზღვა გადაიქცევა რუსეთ ოსმალეთის ტბად მაშინ იტალია და საფრანგეთი იძულებულნი იქნებიან დასტოვონ ეგეი ზღვა.

გაზ. „მანჩესტერი გარდიანი“ იმედოვნებს, რომ საფრანგეთის სიბრძნე რომელიც გამოწვეულია ქემალის გამარჯვებით, ხელს შეუშლის საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გაითვალისწინოს მდგომარეობის მთელი სიმძიმე.

საფრანგეთის პრესა ძალიან შეშფოთებულია. აღნიშნავს რა ოსმალეთის ჯარების ბრწყინვალე გამარჯვებას, პარიზის პრესა უყურადღებოდ სტოვებს კონსტანტინოპოლის და ადრიანოპოლის საკითხს.

**ინდოეთის პროტესტი.**

**მოსკოვი.** 14 სექტ. ბალკანეთის მთავრობას ინდოეთის სხვა და სხვა ადგილებიდან მოსდის ცნობები მრავალ რიცხოვან დემონსტრაციების შესახებ, რომელიც გამოწვეულია ბრიტანეთის სამხედრო გემების სმირნაში გაგზავნით.

---

ტვირთზიდვისა და შრომის გადასახადი—ეს დახმარებაა ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისთვის ქალაქის გამშვენიერების საქმეში.

---

# გერმანია და ანტანტა

**გერმანია და [illegible] შორის [illegible].**

**ნაუენი** 13 სექტ. პარიზიდან მიღებული ცნობების წინააღმდეგ, „დეილი ტელეგრაფი“ ფიქრობს, რომ გერმანია და ბელგიის შორის მოლაპარაკება სრულიად უშედეგოდ დამთავრდა.

**მანჩესტერი** 13 სექტ. კანცლერ ვირტმა განაცხადა, რომ სრულებით სასურველი არ არის ის პოზიცია, რომელიც დაკავებული აქვს ბელგიას, ვინაიდან იგი ეწინააღმდეგება როგორც გერმანიისა ისე ევროპის ინტერესებს. ვირტს ჰგონია, რომ საკონტრიბუციო კომისია არ იქნებოდა წინააღმდეგი იმ შეთანხმების, რომელიც ბელგიის დელეგატების მიერ მისაღები შეიქნება საბოლოოდ. ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიის მთავრობა მიიღებს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც არ იქნება ეროვნულ ინტერესების წინააღმდეგ მიმართული, და უარყოფს ისეთ ვალდებულებების მიღებას, რომელთა კეთილ სინდისიერად შესრულება გერმანიას არ ძალუძს.

**მანჩესტერი** 13 სექტ. „ლოკალ ანცეიგერის“ ცნობით, კანცლერ ვირტს განზრახვა აქვს რამოდენიმე დღით დაიწყოს შვებულება.

**შტრეზემანის განცხადება.**

**ნაუენი** 13 სექტ. კენიგსბერგში გერმანიის ეროვნულ პარტიის ლიდერმა შტრეზემანმა განაცხადა, რომ საფრანგეთმა უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ თუ კიმისი პოლიტიკა არ იქნა ზომიერი, გერმანიის მუშები არ იმუშავებენ ნახევარი კონტრიბუციისათვის.

**გერმანიის წინადადება.**

**ნაუენი** 13 სექტ. „მატენ“-ის თანამშრომელთან ინტერვიუს დროს ვირტმა განაცხადა: რადგანაც სახელმწიფო ბანკი ვალდებულია დაიცვას თავისი კომერციული ინტერესები, მას არ აქვს შესაძლებლობა ექვსი თვის განმავლობაში გადაიხადოს 207 მილიონი მარკა ოქროთი. მაგრამ, სახელმწიფო ბანკს შეუძლია მისცეს საქმიანი წინადადება, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან საკონტრიბუციო კომისიის გადაწყვეტილებას და რომელიც მიიღებს ამ წინადადებას, რითაც არც ერთი დღე არ იქნება დაკარგული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

**საჰაერო მიმოსვლა.**

**ნაუენი** 13 სექტ. პირველ ოქტომბრიდან დაიწყება რეგულიარი საჰაერო მიმოსვლა ლონდონსა და კელნს შუა. ამას და თანხობით მოეწყობა საჰაერო მიმოსვლა ფრანკფურტსა და ვენას შუა, კონსტანტინოპოლში და ინდოეთში.

**ზემო სილეზიაში.**

**ნაუენი** 13 სექტ. ბიას მარკ-ხიუტში ადგილი ქონდა სერიოზულ უწესოებას. მუშებმა პროტესტი განაცხადეს ხელფასის პოლონეთის ფულით მიღებაზე. რვა მუშა და ერთი პოლიციელი მოკლულია, ბევრია დაჭრილები.

**კატოვიცაში.**

**ნაუენი** 13 სექტ. კატოვიცაში მომხდარი არეულობის გამო ქალაქში წესრიგი დაცულია ტყვიის მფრქვეველებით და ზარბაზნებით შეიარაღებული ჯარებით.

---

# ახალი ამბები

— **დოკუმენტების გასინჯვა.** 15 ამ თვიდან ქუჩებში დაიწყება დოკუმენტების გასინჯვა. ის მოქალაქენი, რომელთაც დოკუმენტებზე არ აღმოაჩნდებათ შრომისა და ტვირთ-ზიდვის გადასახადისაგან განთავისუფლების ქაღალდი ან მარკა, რომელიც მოწმობს გადასახადის გადახდას, იქნებიან დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული.

— **„ხუმარა“**, კვირას გამოვა იუმორისტული ჟურნალის „ხუმარას“ მეორე ნომერი.

— **წყალდიდობა ქიათურაში.** ქიათურაში ადგილი ჰქონდა წყალდიდობას, რკინის გზის ხაზი არ მუშაობს, ზარალი დიდია.

— **ქალაქის მცხოვრებთა აღწერა.** დაწყებულია საზადისი ქალაქის მცხოვრებთა აღწერისათვის. მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობს.

— **ამინდები ტფილისში.** დიდი სიცხეების შემდეგ, უკანასკნელ ხანებში ტფილისში საგრძნობლად აცივდა.

— **მეცადინეობის დაწყება.** უნივერსიტეტში მეცადინეობა იწყება 1 ოქტომბრიდან.

— **ლტოლვილთა კომისია.** საკავშირო საბჭოსთან დაარსდა მუდ-

...ვი კომისია ლტოლვილთა საკითხის განსახილველად. კომისია შესდგება 3 წევრისაგან, თითო წარმომადგენლობით რესპუბლიკებიდან. თავმჯდომარეთ საკავშირო ...ბჭოს მიერ დანიშნულია ვ. კაკაძე.

— **ტრამვაის ახალი ვაგონი.** ქალაქის ტრამვაის სახელოსნოებში ...თდება მეორე ახალი ვაგონი, რომლის ყველა ნაწილები გაკეთებულია ადგილობრივად. მიღებულია ...მები იმ შეცდომების გამოსასწორებლად, რომელიც დაშვებული იყო ...რველი ვაგონის აშენების დროს.

## პროვინციის ცხოვრება

**საკურორტო სეზონის დახურვა.** საკურორტო კომისიის დადგენილებით, აბასთუმანის საკურორტო სეზონი დაიხურა 25 აგვისტოს. ავადმყოფები გადმოიგზავნა სანატორიუმიდან. წვიმები უკანასკნელ დღეებში ...წყდა, ამინდები კარგია, ფასები სურსათზე იაფია, სურსათი მრავლად იშოვება, განსაკუთრებით ხილი.

**წყალდიდობა ოზურგეთში.** დიდი წვიმების შემდეგ ღამით 8 სექტემბერს მდინარე ნატანები და ბჟუჟი გადმოვიდა ნაპირებიდან. ოზურგეთის ბაზარი და ახლო მდებარე სოფლები დაიფარა წყლით. ზარალი უმნიშვნელოა. ადგილი ჰქონდა ადამიანის მსხვერპლს.

**გზის დაზიანება.** წყალდიდობის გამო აბასთუმან ახალციხის გზა დაზიანდა 4 ვერსის მანძილზე. გზა ზოგ ადგილას გაუვალი გახდა. კლდინის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ინიციატივით გზა შეკეთებულ იქმნა.

**საქონლის ნაკლებობა.** თიანეთი განიცდის მარილისა და მანუფაქტურის ნაკლებობას. ადგილობრივ საჰაეროებში არაფერი არ იმყოფება. შესაძლებელია ადგილობრივად 50 ათასი ფუთი ხორბლის შეგროვება საქონელზე გადაცვლის სახით.

...ვირთზიდვის გადასახადის წარმატებითი შემოტანა თავ'დებია ტფილისის ელექტროფიკაციისა.

# წყალდიდობა ჭიათურაში

ქ. ქუთაისიდან 11 სექტემბერს მოვიდა თანამშრომელი მიხეილ ...ობჟანიძე, რომელმაც შემდეგი მოხსენება წარუდგინა აღნიშნულ საზოგადოებას ჭიათურაში მომხდარ ...მბედურების შესახებ. მოგვყავს შემოკლებით.

გამგეობის დავალებით 7 სექტემბერს გავემგზავრე ჭიათურაში შავი ქვის საქმების გამო. ტფილისიდან მატარებელი № 4 გავიდა დილის 11 საათზედ, ხუთშაბათს 7 სექტემბერს დილით შესანიშნავი დარი იყო, ...ირაბის გასვლის შემდეგ ცოტათი მოვარდა ქარი, მოიღრუბლა და საგურ ძირულასთან დაიწყო წვიმა, ...ილო შორაპანში, რომ მოვიდა მატარებელი, კოკისპირული წვიმა მოვიდა.

მატარებელი არ გავიდა ჭიათურისაკენ, რადგან ცნობები მოდიოდა ტელეფონით, რომ ნიაღვარმა გზა დააზიანა ზოგიერთ ადგილას—გზის გასწორების შემდეგ მატარებელი ღამის 11 საათზე გავიდა და ნელის მოძრაობით მივიდა ჭიათურამდის. დაახლოვებით ორ ვერსზედ ჩილინდარიანების ქარხნების ახლო შეჩერებული იყო მატარებელი გზის დარაჯების მიერ. მიზეზი კი გახლდათ ...ს რომ ხევი, რომელიც მდებარეობს ზემოაღნიშნულ „ქარიანისთან ...დიდებულიყო. ერთი საათის განმავლობაში, როგორც იყო, წყალს ...უხსნეს გზა სხვა და სხვა ადგილას და მატარებელი ჩავიდა ჭიათურაში ღამის $1\frac{1}{2}$ საათზედ. სადგურ ჭიათურაში მოვიდა ცნობა, რომ ნიაღვრისაგან წაღებულია გზა დარკვეთ-საჩხერისა. იმავე დღიდან მიმოსვლა მოისპო საჩხერის ხაზზე და ...ს მატარებელი დღევანდლამდის გაჩერებულია ჭიათურაში. სადგურზე ...აპანება არ იყო ხალხის. ახალი ...დის ქვევით (რომელიც შენდებოდა) წყალი ყვირილა გადმოვიდა ...კინის გზის ლიანდაგზე დაახლოებით ღამის 4-5 სათ.

წყალდიდობამ მიიღო კატასტროფიული სახე. დილის ათ საათზე ...ყალმა მიაღწია სადგურს ვრთ ადლამდის. ტელეფონის, წყალსადენის და ელექტრონის განათება სრულიად მოისპო, რადგანაც სადგურები ...აივსო წყლით, მატორები დაასვენა და ლაფით აავსო.

პარასკევს 8 ენკენისთვეს შუადღისას ახლად აშენებული შუა ხიდი სრულიად მოგლიჯა და გაიტაცა (დარჩა მხოლოდ ბურჯები) ქვევით საურმე ხიდი გახეთქა დაახლოვებით ნახევარი ადლამდი. აბანოსთან გაიტაცა მაზუთის დიდი ქვაბი, მრავალი ბაქანი, რკინის გზის ჩიხები, დააქცია მიმოსვლის გზები, პლატფორმაზე დაწყობილი შავი ქვა ერთმანეთში აურია და ზოგი კიდეც გაიტაცა, როგორც მოკრებილი ცნობებიდან ჩანს, დაზარალებულია ა. მიულსის დაქცეულია ძმ. ვარაზაშვილების ქარხნები. გამგეობის წევრის ვ. ყიფიანის ქვა ნიადვარს სრულიად წაუღია დაახლოვებით 150.000 ფუთი, სულ გატაცებული შავი ქვა უდრის 2.000.000 ფუთს, ჭიათურის რკინის გზა სრულიად მინგრეულ-მონგრეულია გარდა შორაპან ბოსლევის ხაზისა. ცენტრალური ხაზი ბათომ-ტფილისი დაზიანებულია, სუფსა-ნატანების რაიონში, აგრეთვე ტყიბულის შტოც სრულიად შეწყვეტილია მიმოსვლა, მხოლოდ მოქმედობს ტფილის-ფოთის ხაზი, ისიც მხოლოთ „მაქსიმ-გორკის“ მატარებლით. რკინის გზის ხიდი შორაპნისა დაზიანებულია. ერთი დედა ბოძი სრულიად მოგლეჯილია, ფიქრობენ აღადგინონ დროებითი ზომებით 15 ენკენისთვემდის, თუ წვიმამ ან წყალდიდობამ არ შეუშალა ხელი.

რადგან ჩემი დავალება შევასრულე ჭიათურაში, გადავწყვიტე მეზრუნა უკან დაბრუნებისათვის ტფილისში. ამისათვის გამოვგზავნე რამოდენიმე დეპეშა—მმართველობაში განკარგულების მისაღებათ, სამწუხაროდ არც ერთი დეპეშა ორი დღის განმავლობაში გადმოგზავნილი ვერ იქნა და იმედიც არ იყო ახლოხანში ტელეგრაფის აღდგენისა, რადგან მრავალი ტელეგრაფის ბოძი იყო დაზიანებული.

ჭიათურაში მთიდან ბაზართან წყალმა ჩამოაგორა უზარმაზარი ქვა, აუარებელი ზარალი მიაყენა სოფლელებს, თითქმის სრულიათ გაიტაცა წისქვილები, შლამით აავსო სიმინდების ყანები. საზარელ სანახაობას წარმოადგენს მინგრეულ-მონგრეული ჭიათურის რკინის გზის შტო, ფეხითაც კი ძნელია გასვლა. ძალიან შეფერხდება შავი ქვის წარმოება. ყველამ დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ მონაწილეობა ჭიათურის აღდგენაში.

რადგანაც არაფერი საშუალება არ იყო წამოსვლისა, ჩამოვედი ფეხით ჭიათურიდან—შორაპან-ძირულაში. ყვირილას დღესაც მიაქვს ხე-ტყე—ხიდების ბურჯები და სხვა მრავალი მასალა.

ქალაქის გამშვენიერება-გაშენება—ეს თვით მოსახლეობის საქმეა. ...უშები პატიოსნურად ასრულებენ თავის მოვალეობას კვირეულებზე.

მოქალაქენი ვალდებულნი არიან გადაიხადონ ფული ნაცვლად ტვირთზიდვის ბეგარისა.

# მასწავლებელთა შორის

**განათლების მუშაკთა კავშირის რაიონული კომიტეტების ქალაქის კონფერენცია.**

6 ენკენისთვეს საღ. 6 საათზე ს. პ. ს. მცირე დარბაზში შესდგა ტფილისის განათლების მუშაკთა კავშირის რაიონული კომიტეტების კონფერენცია. დაესწრო თითქმის ყველა კომიტეტების წარმომადგენლები. თავმჯდომარეობდა ამხ. შ. გეგეჩკორი, მდივნობდა ამხ. გ. ოდიშარია.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები, წამოყენებული ც. გ. პრეზიდიუმის მიერ: ც. გ. პრეზიდიუმის საინფორმაციო მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობის შესახებ. 2. „განათლების მუშაკის სახლი“, 3. ახალი პერერეგისტრაციის შესახებ, 4. სრულიად რუსეთის პროფ. კავშირების ყრილობაზე დელეგატის არჩევა, 5. მიმდინარე საკითხები.

პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, მაისიდან—დღემდე, მოხსენებას აკეთებს ამხ. გეგეჩკორი. ის აღნიშნავს, თუ რა ობიექტიურმა პირობებმა შექმნეს აუცილებლობა მასწავლებელთა შტატების შემცირებისა. ამ შემოკლების პროცესში, რათა დაცული ყოფილიყო მასწავლებელთა უფლებრივი მხარე, კავშირმა ადგკომებთან კონტაქტში მიიღო შესაფერი ზომები, გან. განყ. პროექტს ყოველთვის იხილავდა შეერთებული კომისიები,—ასე რომ, რაც შესაძლებელი იყო, ეს შტატების შემცირება ჩატარდა შედარებით უმტკივნეულოდ, შტატ-გარეშე დარჩენილ მასწავლებლებზე ვზრუნავთ და მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რათა მოუძებნოთ მათ ადგილები და შეუმსუბუქოთ მდგომარეობა, მეორე—უფრო მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი მუშაობაში, ეს არის ნორმალური ურთიერთ-შორის დამოკიდებულების დამყარება განათლების კომისარიატთან და გან. განყოფილებებთან. ჩვენ შორის არის დადებული ერთგვარი ხელშეკრულება,*) რომელიც ჩვენ გვაძლევს დიდ უფლებებს მაგ. მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის, პედაგოგიური საკითხის და საერთო კონტროლის საკითხებში.

ეს ხელშეკრულება სახკომის, ამხ. კანდელაკის მიერ უკვე მოწერილია და ამ დღეებში შევა ძალაში. ცხარე კამათს სამართლიანად იწვევს გან. კომ. და განყოფ. დავალიანება მასწავლებლებთან. როგორც ვიცით, მასწავლებლებს სამი-ოთხი თვის ხელფასი ჯამაგირები არ მიუღიათ. კავშირის ც. გ. ინიციატივით სახ. კომისართა საბჭომ გან. კომისარიატს მისცა შესაფერი თანხა და ამ დავალიანებას მოკლე ხანში მოლო მოეღება. რაც შეეხება ქალაქის აღმასკომს, აქაც საქმე საიმედოთ არის. მიღებულია უკვე სახ. ბანკიდან 5 მილიარდი პირველ ენკენისთვემდე მასწავლებლებთან ვალების გამოსასწორებლად და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ სასკოლო გადასახადების და სხვა წყაროების საშუალებით დაკმაყოფილდებიან თავის დროზე. კონფერენციამ ამ მოხსენების შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

განათლების მუშაკთა ქალაქის კონფერენციამ მოისმინა რა კავშირის ც. გ. მუშაობის შესახებ მოხსენება, დაადგინა: მოწონებულ იქნას გამგეობის მუშაობა შტატების შემცირების საკითხში, განათლების სახ. კომისარიატთან დადებული ხელშეკრულება დამტკიცებული იქნას, მიეცეს წინადადება ც. გ. პრეზიდიუმს, რათა უკანასკნელმა მიიღოს სასწრაფო და ენერგიული ზომები ჯამაგირების სწრაფის დაწყებამდე მიღებაში. მეორე მორიგი კონფერენცია მოწვეული იქნას არა უგვიანეს 20 აგვისტოს, განათლების მუშაკის სახლის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. მ. შიუკაშვილი, სახლი იქნება გ ხინილი ლორის მელიქოვის და კალოუბნის ქ. კუთხეში ყოფ. I ქალ. გიმნაზიის შენობაში, ჯერ-ხნობით იქ იქნება ბიბლიოთეკა და პედაგოგიური სექცია, შემდეგში ჩვენ პროექტი გვაქვს ჩამოსულ ამხანაგებისთვის მოვაწყოთ ბინები. მოხსენება ცნობათ იქნა მიღებული.

ახალი პერერეგისტრაცია უნდა ჩატარდეს ერთი თვის განმავლობაში, ამხ. გეგეჩკორი აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ უკანასკნელ პერერეგისტრაციას. ამით შევძლებთ ჩვენ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი კავშირის წევრების რიცხვი და შევქმნათ მთლიანი ერთეული, შეიძლება ამ პერერეგისტრაციის დროს ზოგიერთი ჩვენი ამხ. დატოვებულ იქნან კავშირის გარეშე. საპირო თვითეულმა წევრმა გადაიხადოს წიგნაკის შესაძენად 15,000 მ., აგრეთვე საპირო არჩეულ იქნას სამეული ან ხუთეული, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამ პერერეგისტრაციას. კონფერენცია ადგენს არჩეულ იქნას კომისია 5 კაცისაგან და დაევალოს რაიკომებს ერთი თვის განმავლობაში შეკრიბონ 15.000 მანეთი თითო წევრისაგ ნ. კომისიაში არჩეული იქნენ ამხ ნაგებ: ასლანიკი, მეგრელიძე, ჩოლოშვილი, სუხოვი, (ერთს ირჩევს ც. გ. პრეზიდიუმი). კანდიდატებად ამხ. სიმონ გულიანი და სუროვი.

სრულიად რუსეთის პროფ კავშირების ყრილობის შესახებ კონფერენციას მოახსენებს ამხ. გეგეჩკორი; ის აღნიშნავს, რომ ახალი ეკ პოლიტ. შედეგე, პირველად უხდება პროფესიონალურ კავშირების ერთად შეკრება, კავშირები ამ ჟამად ახალ გზაზე დგანან და საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ყრილობას. წინადადება შეიტანება არჩეულ იქნას იქ გასაგზავნად ერთი დელეგატი. ც. გ. პრეზიდიუმმა წამოაყენა დელეგატად ამხ. გეგეჩკორი; კანდიდატურა ერთხმად იქნა მიღებული.

ახალი ტარიფების შესახებ მოხსენების მოსმენა გადაიდო მომავალი კონფერენციისათვის.

გ. — ია.

*) ეს ხელშეკრულება დაიბეჭდება ხვალინდელ ნომერში. რედ.

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადი მოხმარდება მარტოდმარტო ქალაქის ელექტროფიკაციას.

# მუშათა ცხოვრება

## მუშათა კლუბები ტფილისის უბნებში.

სწავლა თან დასდევს
სწავლულსა რაზომცა დიდებინებს
აქვს უხილავი საუნჯე
ხელი არ მიეკარების.

ზოგიერთი წევრი ქართველი ხალხის ბარაქალა ხელმძღვანელია, რომელსაც აცვენის დიდი მნიშვნელობა ვერ შეუგნია და ეს უწმინდესი ტაძარი ხელოვნებისა თავის საპირადო მიზანთა ასპარეზად გაუხდია. მუშის მარჯვენამ რაც შექმნა, ის მისი და მისი მომავალი თაობისაა, მაგრამ ჩვენ წარსულში სულ სხვა სურათის მოწამე გავხდით. 1 მარტს 1920 წელს დიდი ზეიმით შეხვდენ ნაძალადევის მუშათა ხელოვნების ტაძარის კურთხევას. უკლოცავენ ნაძალადევის მუშებს: კოხტა, ლამაზი, მუშის მარჯვენით და ენერგიით აგებულ კლუბის გახსნას. დილიდან საღამომდი მოუხდენენ იმ აუარებელი ქონების დათვალიერებას (დეკორაციები, მხატვრული ნაწარმოები, ტილოები ახალი დეკორაციებისთვის, რეკვიზიტები და სხვ.). ყველა ეს შეძენილი იყო მხოლოდ და მხოლოდ მუშების მიერ. სავალალო ის არის, რომ 1921 წელს 24 თებერვალს ეს აუარებელი ქონება, გარდა შენობისა, დატვირთეს ვაგონებში და ბათომისკენ გაგზავნეს, მუშები კი აქ დარჩა.

მართალია საბჭოთა მთავრობამ მუშებს დაუბრუნა თავისი ქონება იმ სახით, რა სახითაც ის გამოსტაცა გამტაცებლებს, მაგრამ მისი იმ ფორმით დატოვება ყოვლად შეუძლებელი იყო. მას სჭიროდა რემონტი, გაწმენდა გასუფთავება და ტაძარში ამუშავება ხელოვნების ახალი შემოქმედებით. ეს ვერ შესძლეს იმ პირებმა, რომლებიც სათავეში ჩაუდგა ნაძალადევის მუშათა კლუბს, ისე ვერ გამოდგა ისეთი მესვეურნი, რომ მუშათა გულში სიყვარული მოეპოვე, პირიქით, როგორც ამ მოხსენების თავში ვსთქვი, ხოლო ბარაქალა წევრები არ დარჩა, მცოდნე—გამოცდილნი თეატრის საქმეებისა— და ამან გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ თუ პირველად ნაძალადევის მუშები თეატრს ეტანებოდა, ნაძალადევის აუდიტორია მსმენელებით სავსე იყო, დღეს ის ცარიელია დღეს მას მუშები გაურბიან. ეხლავე, ამ თავითვე უნდა დაბრკოლებულ მიზეზების ამოთხვრა, თორემ მერე გვიანდაა და ის ქონებაც, რომელიც დაუბრუნეს, თან და თანობით სადღაც ქრება.

ვინაიდან ნაძალადევის კლუბი უმეტესად რკინის გზის მუშებისაგან არის აგებული, ამიტომ მას რკინის გზა დაეპატრონა, მაგრამ რკინის გზამ მას ვერ გაუწია შესაფერი პატრონობა—ის მისთვის მამანაცვალი გამოდგა. რკინის გზა მე-

...ორე უბანში. კლუბს ჩიჟნის ქალაქ., როგორც არის მუშათა ... მაგრამ ეს ერთად ერთი მუშების თავსაფარი ნილი დარჩა. ყოველ კვირა-უქმე დღეებში ფასიანი სეირნობის გამართვა ამ კრიტიკულ მდგომარეობაში მუშებისათვის აუტანელი შეიქნა და ბალი სასეირნო და მოსასვენებლად დარჩა ისევ ბურჟუაზიულ კლას. აქაც სათავეში არიან ის ნაძალადევის თეატრის ბარაქალა წევრები

გამოსავალი გზა მხოლოდ ერთია.

მარტო რკინის გზის უფლებას არ შეადგენს ამ კლუბების მესვეურობა, მუში რკინის გზასა თუ ქალაქს, ის ერთია და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებით ზედ მეტია მათი განცალკევება. ყველა ამათ სათავეში უდგას საქართველოს საბჭოთა მთავრობა და არავითარ უწყების მონოპოლიას ადგილი არ უნდა ქონდეს: ერთი ყველასათვის, ყველა მუშისათვის. ასე ამ გვარად უნდა ჩამოდგენ არა მცოდნე პირნი და ადგი დაუთმონ ნამდვილ მცოდნე პირთ, რომელნიც შეძლებენ აამუშაონ მუშათა უბნებში სასცენო აპარატი, მოწვეულ უნდა იქნას სახელოვანი ინსტრუქტორები.

ან. კაციაშვილი.

# თამბაქოს წარმოება ამიერ-კავკასიაში და მისი გაერთიანების შესაძლებლობა.

1.

„ვინმე პოპოვიანი გაცხარებით იცავდა თამბაქოს წარმოების გაერთიანების პრინციპს ამიერ-კავკასიის მასშტაბით, მეთამბაქოეთა ყრილობაზე“. ვკითხულობთ ჩვენ გაზეთ ტრიბუნის 277-№ში.

ამ მოკლე დროს განმავლობაში ეს მესამეთ ისმის ასეთი საკითხი. სასამართლოს გაერთიანების საკითხმა სათანადოთ განმარტება მიიღო ვისგანაც ჯერ არს, რის შემდეგ პროექტის ორატორი გაჩუმდა.

ეხლა დღიურ წესრიგში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოთა გაერთიანება არის დასმული ამიერ-კავკასიის მასშტაბით და ვფიქრობთ ამ შემთხვევაშიაც პროექტის ავტორი ვერ მიიღებს სრულ დაკმაყოფილებას.

ამ წერილის მიზანია მოქალაქე პოპოვიანის მიერ აღძრულ საკითხის გარჩევა და იმის გამორკვევა, თუ რამდენად შესაძლებელია ამიერ-კავკასიის მასშტაბით თამბაქოს წარმოებათა გაერთიანება.

ამიერ-კავკასია მთელს დედამიწის ზურგზე განსაკუთრებული ბუნებით არის დაჯილდოებული.

კლიმატიური სხვაობა არის აღრეული ერთმანეთში, რომ ვაზებით, ბაღებით ამწვანებულ, ბროწეულითა და ფორთოხლით გალამაზებულ დაბლობს ცოტა მაღლა თქვენ დაინახავთ მთებს საიდაც ბუნების სტიქია ძძინვარებს და სიცივე ყოველივეს ყინავს*).

გასაკვირველია ამასთან ის, რომ, ასეთი ადგილები მხოლოდ რამოდენიმე აღეული ვერსით არის ერთი მეორეს დაშორებული, როგორც ამას აღნიშნავს პრ. გეტმანი.

არა თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ თვით საქართველოშიაც არ არის ერთი და იგივე ჰავა და ნიადაგი. შავიზღვის ახლო მდებარე დასავლეთ საქართველოს ჰავა ნოტიოა, წვიმები ხშირი და ტემპერატურა ხელსაყრელი მაღალი კულტურის მცენარეულობის განვითარებისათვის.

შავი ზღვის ნაპირების ნიადაგის შემადგენლობა ტროპიკულ მცენარეულობას კვებავს და იქ მოყვანილი მანდარინები „უნშიუ“ მეტოქეობას უწევს ევროპის ბაზარზე, რადგან ის ერთი თვით ადრე მწიფდება; თითო ხე 600 ცალს ისხამს და მას უკვე მრეწველობის ხასიათი მიეცა. აღმოსავლეთ საქართველოში წინააღმდეგ მდგომარეობას ვხედავთ; სურამის მაღალი ქედი ზღვიდან მონაბერ ნოტიო ჰაერს არ უშვებს, რის გამო აღმოსავლეთ საქართველოს ჰავა შედარებით მშრალია. ასეთ ჰავის სხვაობას მცენარეულობის ჯიშზე აქვს გავლენა. მაღალი კულტურის მცენარეულობა აქ ისე ვერ ხარობს, როგორც დასავლეთ საქართველოში; თუმცა აღმოსავლეთ საქართველოში ნიადაგის შემადგენლობა ზოგან საუკეთესოა. აზერბეიჯანი ხომ ტფილისის გაგრძელებაა; ჰავისა და ნიადაგის მიხედვით ნაკლები გამოსადეგი მაღალ კულტურის მცენარეულობის გაშენებისათვის.

სომხეთი აღნიშნულ ორ რესპუბლიკასთან შედარებით გაცილებით უარეს

*) ცნობები ამოღებულია პროფ. გეტმანის წიგნიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომარეობაშია როგორც, ჰავისა ისე ნიადაგის მხრით.

ასეთ ზოგად მიმოხილვის შემდეგ გადავიდეთ ჩვენთვის ამ ქამად საინტერესო საკითხის გარკვევაზე—გავეცნოთ თამბაქოს წარმოებას ამიერ-კავკასიის მასშტაბით.

სამრეწველო მცენარეულობათა შორის ამიერ-კავკასიაში გავრცელებულია თამბაქოს წარმოება—ზოგიერთ რესპუბლიკებში მას უკვე მრეწველობის ხასიათი აქვს მიღებული.

თამბაქოს წარმოების განვითარება უმთავრესად დამოკიდებულია ჰავასა და ნიადაგზე. ამ მხრით დასავლეთ საქართველო მეტად ხელსაყრელ პირობებშია. მეთამბაქოობას მისდევენ უმთავრესად სოხუმის ოლქში. ზღვის გასწვრივ 130 ვერსის მანძილზე და 25 ვერსით მატერიკის სიღრმისაკენ თამბაქოს წარმოებისათვის საუკეთესო პირობებია. თამბაქოს პლანტაციებს სოხუმის ოლქში შემდეგი ადგილი ეკავა:

| | | |
|---|---|---|
| 1914 წ. | 13.101 | დესიატინა |
| 1915 წ. | 8.825 | „ |
| 1916 წ. | 10.597 | „ |

დათესილ ადგილებზე მოვიდა:

| | | |
|---|---|---|
| 1914 წ. | 670.000 | ფუთი |
| 1915 წ. | 430.000 | „ |
| 1916 წ. | 560.000 | „ |

თამბაქო აქ მაღალი ხარისხის ითესებოდა და ხარისხით არ ჩამოუვარდებოდა ოსმალეთის მაღალ ხარისხის თამბაქოს. *).

თამბაქო გაჰქონდათ სოხუმის ოლქიდან უმთავრესად რუსეთში: უკანასკნელ ხანებში გაიზარდა ჩვენი თამბაქოს მოთხოვნილება ევროპის ბაზარზეც.

ბ. კაზლოვის ცნობების მიხედვით, თამბაქო გაზიდნიათ სოხუმიდან:

| წლები | რუსეთი | საზღვარგარეთ | ამიერკავკას. |
|---|---|---|---|
| 1915 წ. | 285,577 | 4 074 | 797 |
| 1916 წ. | 408,000 | 7.576 | 2915 |

სოხუმის ოლქში უმთავრესად გავრცელებულია მაღალი ხარისხის თამბაქო „სამსონისა“ და ტრაპიზონის.

მეთამბაქოება გავრცელებულია აგრეთვე ქუთაისის გუბერნიაში, მაღალი ხარისხის თამბაქოდან ითესება „სამსონი“.

ნათესის და მოსავლის რაოდენობა შემდეგია:

| წლები | დესიატინა | მოსავალი ფუთებში |
|---|---|---|
| 1914 წ. | 446 | 23.194 |
| 1915 წ. | 383 | 19.041 |
| 1916 წ. | 302 | 18 041 |

ქუთაისის გუბერნიაში მოწეული თამბაქო უმთავრესად მოჰქონდათ ტფილისში და ბაქოში.

მეთამბაქოებას მისდევენ აგრეთვე ბათომის ოლქში. იქ ითესებოდა წლიურად დაახლოებით 632 დესიატინა და მოსავალი უდრიდა 7.550 ფუთს.

აღმოსავლეთ საქართველოში მეთამბაქოება გავრცელებულია დუშეთის და სიღნაღის მაზრაში, აქ მას სრული მრეწველობის ხასიათი აქვს. დასავლეთ საქართველოსთან შედარებით აქ უფრო დაბალი ხარისხის თამბაქო მოჰყავთ; ჯიში იგივე „სამსონის“ და ტრაპიზონის არის. მთლად აქ წლიურად მოდის დაახლოებით 126,000 ფუთი. ცხადია ჯამი გაუკეთოთ დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს წლიურ მოსავალს. დასავლეთ საქართველოში 1914 წლს მოუწევიათ 694.344 ფ. 1914 წელს აღმოსავლეთ საქართველოში 126,000 ფუთი, მთლად საქართველოში მაზასადამე წლიური თამბაქოს მოსავალი უდრის 820,754 ფუთს. ასეთი იყო თამბაქოს წარმოება საქართველოში რევოლიუციამდე. განვიხილოთ თუ რა მდგომარეობაშია მეთამბაქოობა ახლა დანარჩენ რესპუბლიკებში.

ამაზე შემდეგ.

Wictor.

# მოწერილი ამბები

## წერილი გორიდან.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვეთ, განათლების კომისარიატს გაუზრახავს ტეხნიკუმების რიცხვის შემცირება. დღეს ჩვენს წინაშე სდგას უდიდესი საკითხი, რომელიც მოითხოვს ჯეროვან ყურადღებას გორის საზოგადოების მიერ. ეს გახლავთ ერთ ერთ ტეხნიკუმის გაუქმება. ცხადია, რომ ვერც ქალთა და ვერც ვაჟთა ტეხნიკუმებს ვერ გააუქმებენ, დარჩა სამასწავლებლო ტეხნიკუმი. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ სამასწავლებლო სემინარია, რომელსაც ორმოც წელზე მეტი ისტორია აქვს და რომელსაც საუკეთესო მასწავლებლები და ამასთანავე მედგარი რევოლიუციონერები მიუცია ერისათვის, გააუქმდეს. ეს ხომ დიდი შეცდომა იქნებოდა. გავითვალისწინოთ ვინ სწავლობდა სემინარიაში ან და ვინ უნდა ისწავლოს ომავალში. რასაკვირველია იმისთანა ღარიბ ელემენტებმა, ვისაც არ ქონდა სახსარი სხვა სასწავლებელში შესვლისა და სურდა სპეციალური განათლება ჯერ კიდევ, როდესაც ბურჟუაზიულ ბანაკიდან გვესმის მუქარა, როდესაც ივენი მდგომარეობა არ გვაძლევს საშუალებას გარდავქმნათ სავსებით ცხოვრება და შეუფარდოთ ახალ წესებს, როდესაც ჩვენ ვერ შევძლებთ ჩავატაროთ უფასო სწავლა-განათლება, რა თქმა უნდა, არამც თუ უნდა შევინარჩუნოთ სემინარიები, არამედ საჭიროა სახელმწიფო ხარჯზე ავიყვანოთ იგინი, რომ მით გზა გაუხსნათ უღარიბეს მოზარდებს.

აქ დარწმუნებული ვართ ზოგი ერთი იტყვის, რომ ასეთ ღარიბ ელემენტებს არ დაეხურებათ სკოლის კარები და ისინი გიმნაზიებში ისწავლიან უფასოდო, შეიძლება ეს ასეც იყოს, მარა ჩვენ კიდევ ერთი რამ გვაინტერესებს. ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს სამასწავლებლო ტეხნიკუმი როგორც სპეციალური სასწავლებელი, რომელიც ამზადებს სახალხო მასწავლებლებს. თუ მოვაშორებთ ეს ხალხი სოფელს, ან ქალაქს, ჩვენ დავინახავთ, რომ სწავლა-განათლების საქმე თავის ნორმალურ მსვლელობის გზას ასცდება, მოუმზადებელ პირთა ხელში.

სახალხო მასწავლებლების სათანადო კადრის შექმნა, ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი და ამასთანავე ეს იქნება თავდები კაცობრიობის მომავალ კეთილდღეობისა. ის აზრი, რომ სემინარია ზედმეტია, ვინაიდან კურს დამთავრებულნი მიდიან უნივერსიტეტებში და მასწავლებლად აღარავინ რჩება, შემცდარია. განა ყველას აქვს საშუალება უნივერსიტეტში შევიდეს? ან და ხომ ყველა მათგანი ვალდებულია ორი წელიწადი მაინც იმასწავლებლოს. და თუ ზოგი ერთი მიდის, ეს 5 პროც. არ აღემატება. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ თუ ავწონ-დავწონავთ და მიზანშეწონილად შეუდგებით საკითხის გადაჭრას, დავინახავთ, რომ სამასწავლო ტეხნიკუმის გაუქმება დაუშვებელია. საზოგადოებრივი აზრი გვიკარნახებს შევინარჩუნოთ ქ. გორში სამასწავლებლო ტეხნიკუმი ერთი ჩვენი სპეციალური სასწავლებელი და ამიტომ საჭიროა, ვისაც ჯერ არს, მიაქციონ ამ გარემოებას სათანადო ყურადღება და დასტოვონ გორში სამივე ტეხნიკუმი. საჭიროდ მიგვაჩნია ადგილობრივ უმაღლეს ორგანოების და საზოგადოების გამოხმაურება და ამ საკითხის უკვე გამუქება.

ალონი.

---

*) იხ. პროფ. გერტმან: „ეკონომიური გეოგრაფია“ გვ. 25.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—მთავარი ... [illegible]

---

**დაიკარგა** შაბათს აგვისტოს 10-ს პირადობის მოწმობა, მიღებული ს. მ. უ. ს. პოლიგრ. გან. № 2 სტამბიდან, № 596-ით, რომელზედაც აგრეთვე აღნიშნული იყო ტვირთზიდვის ხარკისაგან განთავისუფლების შემოწმება 1-ლ ტფ. ქალ. სამილიციო კომისარიატის მიერ. ჩაითვალოს გაუქმებულად.

გიორგი გრიგორის ძე ქივიძე.

---

# ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყოფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლების რეგისტრაციაში გასატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგენის ვადა გაგრძელებულია **20 სექტემბრამდე**, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა

## ოც ოქტომბრამდე

სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რეგისტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და გამოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.

№ 28 3—3

---

# ქ. ტფილისის ყველა მოქალაქეთა

## საყურადღებოდ.

ტფილისის ქალაქის აღმასკომი ამით აცხადებს ქ. ტფილისის ყველა მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ

## ა. წ. 15 სექტემბრიდან

იწყება ქუჩებში პირადობის მოწმობის გასინჯვა

და

## ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად

ის მოქალაქე მამაკაცები, 18 წ.—50 წლ., რომელთაც ეკუთვნით შრომის ხარკის გადახდა, უნდა იქონიონ ხელზე პირადობის მოწმობა

**მოწმობაში აღნიშნული უნდა იქმნეს შრომის ხარკის გადახდის ნიშანი, მარკის დაკვრით, ან სათანადო ნიშანი განთავისუფლების**

შრომის ხარკის არ გადამხდელთა წინააღმდეგ მიღებულ იქმნება ზომები სავალდებულო დადგენილება № 6-ის მე-4 §-ის თანახმად, სახელდობრ, 20 მილიონ მანეთამდე ჯარიმის გადახდევინებით, ან ორი თვით დატუსაღებით.

აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე **წიწქიძე.**
შრომის ხარკის გამტ. კომისიის თავმჯდომარე **თაქთაქიშვილი.**

40

---

ქ. ტფილისში
შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი

# კომისია

## ამით აცხადებს, რომ

1) ფულით შეცვლის შეტანის უკანასკნელ დღეთ ქალაქის აღმასრულებელმა კომიტეტმა დანიშნა 15 სექტემბერი.

2) ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილების § 2 თანახმად, **კომისიის კონტროლიორებს ენიჭებათ უფლება დანიშნონ ცალკე სახლებში და ბინებში ფულის შეტანის სავალდებულო ვადები 1-დან 15 სექტემბრამდე. ის პირნი, რომელნიც კონტროლიორების მიერ დანიშნულ ვადაზე არ შეიტანებენ გადასახადს, დაისჯებიან** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის № 6 სავალდებულო დადგენილების §§ 4 და 5-ის თანახმად, და სახელდობრ: გამასწორებელ სახლში 2 თვის დაპატიმრებით ან 20,000,000 მანეთით დაჯარიმებით.

იმ სახლის პატრონების წინააღმდეგ, რომელთაც არ წარადგინეს სახლის მცხოვრებთა სია შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის შესატანად, იქნება ხმარებული დაჯარიმება თვითეულ ასეთ გადამხდელზე 3 მილიონი მანეთით.

3) სახლის პატრონებს და ცალკე გადამხდელებს არ შეუძლიათ დაემყარონ უკანასკნელ ვადას (15 სექტემბრამდე), როდესაც კონტროლიორი ნიშნავს გადასახადის შეტანის სავალდებულო ვადებს 1—15 სექტემბრამდე.

4) ფულით შეცვლის გადასახადის შეტანის გასაადვილებლად, ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის ა. წ. 31 აგვისტოს დადგენილების თანახმად, თვითეულ პირს ენიჭება უფლება შეიტანოს გადასახადი სახლის პატრონის გარეშე პირადობის მოწმობის წარდგენით, რომელზედაც დააწებებენ მარკას, ხოლო სახლის პატრონები მაინც ვალდებულნი არიან წარადგინონ ასეთი პირები გადამხდელის დოკუმენტებითურთ შესამოწმებლად სახლის წიგნის თანახმად.

შრომისა და ტვირთზიდვის გადასახადის გამტარებელი კომისიის პასუხისმგებელი მდივანი და წევრი **ა. რუხაძე.**

№ 29 3—3

---

# საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან მატყლის

# გატანა

ვინც არ უნდა წარადგინოს მატყლი გასაგზავნათ ნება დართულია, მხოლოდ მიღება და გაგზავნა საქართველოს სასურსათო სახალხო კომისარიატის ან მეცხვარეთა საზოგადოების „მწყემსის“ მისამართით.

(№ 31. 3—2) ეკონომიური ნაწილის უფროსი **აბელოვი.**

---

## ამიერ-კავკასიის რკინის გზების

# სამმართველო

მთელ ლიანდაგზე, ბათომიდან სადახლომდე ყველა შტ... ებით, ტვირთების გაზიდვა აკრძალულია.

ყველა წინანდელ განკარგულებათა შესაცვლელად არის განმარტება, რომ თანახმად საქართვ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ცნობის ამის მიღებისთანავე ნება-დართულია ყოველგვარი ტვირთის გადაზიდვა გარდა პარკისა, აბრეშუმის და მეაბრეშუმეობის სხ. პროდუქტების, მატყლის, აგრეთვე დაკეტილ მაზრებიდან ხორბლეულობის, რომელიც გადასაზიდათ საჭიროა სასურს. სახალხო კომისარიატის სპეციალური ნებართვა.

(№ 33. 3—2). რკინის გზების უფროსის მაგიერ ნ. **ლედერი.**

---

# ჩქარი მატარებლისა

## № 5 და 6-ის მარშრუტი

**კავკასიის რკ. გზების საოლქო სამმართ. განკარგულებით**

ჩქარი მატარებელნი №№ 5 და 6, რომელნიც დადიოდნენ ბათომ-როსტოვ-პეტროგრადის შორის ხარკოვის ხაზით, 15 სექტემბრიდან ტფილისიდან და 17 სექტემბრიდან პეტროგრადიდან და როსტოვიდან ივლიან ახალი მარშრუტით: სამხრეთ აღმოსავლეთის, რიაზან-ურალის და მოსკოვ-ყაზანის რკინის გზებზე კოზლოვ-რიაზანის და მოსკოვ-ყაზანის რკინის გზის ხაზით.

(№ 34. 2—2)

---

## კახეთიდან პურის ტვირთების გატანის

# აკრძალვა

საქარ. სასურსათო სახალხო კომისარიატის ა/წ. 9 აგვისტოს ...რილით და № 7884-ით ტელეფონოგრამის თანახმად; თელავის და სიღნაღის მაზრები სასურსათო გადასახადის აკრეფის დროს ხორბლეულის გატანის მხრივ გამოცხადებულია დახურულად, ნებადართულია ხორბლეულის მიღება და გაგზავნა მხოლოდ სასურსათო სახ. კომისარიატის მისამართით.

(№ 32. 3—2) რკინის გზების უფროსის მაგიერ **ლედერი.**

ტირაჟი 1000 საქართვ. ... სტამბა. № 2 სტამბა, კონსტანტინეს ქუჩა. ს. ფ. ს. ბ.